საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

060141494414712

KA060141494414712

ბრძანება №-303

ქ. თბილისი **03 / დეკემბერი / 2012 წ.**

შპს ”ნიუ პროდ’’-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ’’ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის მე–4 პუნქტის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ’’ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ’’ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს ”ნიუ პროდ”-ზე ცემენტის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, ფეიქრების ქ. №21.);
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს ”ნიუ პროდ”-მა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის (№ 42; 28.11.12წ) დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ”ნიუ პროდ”-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ”ნიუ პროდ”-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს ”ნიუ პროდ”-ის წერილი (№ 5919; 12.11.12წ) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№42; 28.11.12წ).

მინისტრი ხ. გოგალაძე